ხაშურის მოამბე

№24(348) 4 ივლისი, ორშაბათი, 2022 წელი

სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების კენჭისყრის შედეგები ცნობილია

შედეგების შეჯამება 24 ივნისს დასრულდა.

მოქალაქეთა გადაწყვეტილებით შერჩეული პროექტები დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალური ბიუჯეტიდან. პროექტის ადმინისტრირების წესები დამტკიცებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

მონაწილეობითი ბიუჯეტირება, საწყის ეტაპზე, საპილოტე რეჟიმში, სურამში,ქვიშხეთსა და ცხრამუხაში ხორციელდება. შესაბამისად,სურამში წარდგენილ პროექტებზე ხმის მიცემა შეეძლოთ მხოლოდ დაბა სურამში რეგისტრირებულ მოქალაქეებს,ქვიშხეთში წარდგენილ პროექტებზე ხმის მიცემა შეეძლოთ მხოლოდ ქვიშხეთში რეგისტრირებულ მოქალაქეებს, ხოლო ცხრამუხაში წარდგენილ პროექტებზე ხმის მიცემა შეეძლოთ მხოლოდ ცხრამუხაში რეგისტრირებულ მოქალაქეებს.

ხმის მიცემა ელექტრონული წესით განხორციელდა. სპეციალური პროგრამის მეშვეობით გადამოწმდა თითოეული ხმის ვალიდურობა.

გაგაცნობთ კენჭისყრის შედეგებს:

სურამში ყველაზე მეტი - 385ხმა (საერთო ხმების 73,8%) მიიღო პროექტმა „მშვიდობის ქუჩის ბოლოს, ყოფილი საკირის ტერიტორიაზე, სკვერის და ტრენაჟორების მოწყობა“. შესაბამისად, პროექტი დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

სურამში კენჭისყრაზე წარდგენილი იყო კიდევ სამი პროექტი. მათ მიერ მიღებული ხმები ასე გადანაწილდა:

ამაღლების ეკლესიის ასასვლელში, ტყესთან არსებულ წყაროსთან, დასასვენებელი ადგილის მოწყობა განათებებით და დეკორატიული აუზით - 41 ხმა (7,9%)

სურამის პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის მოწყობა - 50 ხმა (9,6%)

სურამის კულტურის ცენტრის კეთილმოწყობა, კოსტავას ქუჩა 2 – 46% (8,8%)

ქვიშხეთში ყველაზე მეტი - 243 ხმა (საერთო ხმების 64,3%) მიიღო პროექტმა „სამედიცინო პუნქტის (ამბულატორია) მოწყობა“. შესაბამისად, პროექტი დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

ქვიშხეთში კენჭისყრაზე წარდგენილი იყო კიდევ რვა პროექტი. მათ მიერ მიღებული ხმები ასე გადანაწილდა:

ცეკვის დარბაზის რეაბილიტაცია - 2 ხმა (0,5%);

სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია ჭალის უბანში - 54 ხმა (14,3%);

წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია მჭედლიშვილების უბანში - 69 ხმა (18,3%);

სანიაღვრე არხის მოწყობა ჭალის უბანში - 0 ხმა (0,0 %);

სტადიონის მოწყობა ჭალის უბანში - 3 ხმა (0,8%);

მინი სტადიონის მოწყობა კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე - 4 ხმა (1,1%);

სკვერის მოწყობა საბავშვო ბაღთან (სოფლის ცენტრი) ტრენაჟორებით - 3 ხმა (0,8%);

სკვერის მოწყობა ჩაჩანიძეების უბნის ტერიტორიაზე - 0 ხმა (0,0 %).

ცხრამუხაში ყველაზე მეტი - 71 ხმა (საერთო ხმების 37,0%) მიიღო პროექტმა: „ცხრამუხის სკოლის მიმდებარედ მინი სტადიონის მოწყობა, კალათბურთის მოედნით და ფრენბურთის ბადით“. შესაბამისად, პროექტი დაფინანსდება ხაშურის მუნიციპალური ბიუჯეტიდან.

ცხრამუხაში კენჭისყრაზე წარდგენილი იყო კიდევ ექვსი პროექტი. მათ მიერ მიღებული ხმები ასე გადანაწილდა:

ცხრამუხის ტერიტორიული ორგანოს (საკრებულო) მიმდებარედ არსებული სტადიონის კეთილმოწყობა - 2 ხმა (1,0 %);

ხელოვნურ საფარიანი სტადიონის მოწყობა მტკვრის მიმდებარე ტერიტორიაზე - 12 ხმა (6,3%);

ცხრამუხის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის, საბავშვო ატრაქციონების და ტრენაჟორების მოწყობა - 3 ხმა (0,8%);

ცხრამუხის სკოლის მიმდებარედ ტრენაჟორების მოწყობა - 16 ხმა (8,3 %);

საფეხმავლო ბილიკის კეთილმოწყობა ცხრამუხიდან ხაშურის შესასვლელამდე - 22 ხმა (11,5%);

ფასადური ბლოკით წმინდა ნინოს ეკლესიის ღობის მოწყობა - 45 ხმა (23,4%).

პროექტი სლოგანით „დაგეგმე შენი ბიუჯეტი“ ხორციელდება ხაშურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის ფარგლებში. პროგრამის მიზანია გაიზარდოს მოქალაქეთა ჩართულობა მუნიციპალური ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე. პროექტი ხორციელდება საქართველოში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერით.

ხაშურის მუნიციპალიტეტი მადლობას უხდის ყველა მოქალაქეს, ვინც სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პროექტის მიმდინარეობაში აქტიურად ჩაერთო. განსაკუთრებული მადლობა პროექტების ავტორებს. იმედი გვაქვს, ისინი სამომავლოდაც აქტიურად ჩაერთობიან სამოქალაქო ბიუჯეტირების პროექტში და წარმატებას მიაღწევენ.

მადლობა ყველა მოქალაქეს, ვინც კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო. თქვენი მხარდაჭერის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ხელს უწყობს მუნიციპალიტეტისა და მოქალაქეთა თანამშრომლობას.

ვულოცავთ გამარჯვებული პროექტების ავტორებს. ისინი ჩართული იქნებიან მათი ავტორობით და მოქალაქეთა მხარდაჭერით შერჩეული მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული პროექტების მონიტორინგში.

მუნიციპალიტეტის მერია

"ტაშისკრობის" დღესასწაული კვლავ გვენვია

ხაშურის მუნიციპალიტეტში სახალხო დღესასწაული „ტაშისკრობა" აღინიშნა. 413 წელი გავიდა ოსმალებსა და ყირიმელ თათრებზე 1609 წლის 27 ივნისის ძლევამოსილი გამარჯვებიდან, გიორგი სააკაძის სარდლობით, რომელიც ისტორიაში ტაშისკრის ბრძოლის სახელით შევიდა.

ღონისძიება ქვიშხეთის კულტურის სახლში გაიმართა - კულტურის ცენტრების გაერთიანების ქორეოგრაფიული და მუსიკალური ანსამბლების მონაწილეობით.

დღესასწაულს ესწრებოდა სურამისა და ხაშურის ეპარქიის მმართველი მეუფე სვიმეონი.

ღონისძებაზე სიტყვით გამოვიდნენ ისტორიკოსები,მწერლები,ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საპატრიარქოს ჩოხოსნათა საზოგადოების წარმომადგენლები.

დღესასწაულის ორგანიზატორები მერიის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური და კულტურის ცენტრების გაერთიანება გახლდათ.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში

22 ივნისს,საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის მე-9 საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 118 დელეგატიდან -98-მა. კონფერენციას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები.

რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ინეზა ელისაშვილმა კონფერენციას წარუდგინა 2018-2022 წლებში ჩატარებული მუშაობის ანგარიში.

დელეგატებს წინასწარ დაურიგდათ საარჩევნო გეგმა-პროგრამა.

საკონტროლო-სარევიზიო მონიტორინგის უფროსმა,ქალბატონმა ეთერ გოგალაძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო 4 წლიანი მუშაობის საფინანსო ხარჯვის ანგარიში.

საანგარიშო მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ექვსმა გამომსვლელმა.

განსაკუთრებული დამსახურების და ღვაწლისთვის დაჯილდოვდნენ საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის დირექტორები და პედაგოგები.

რაიონული ორგანიზაციის მუშაობა შეფასდა დადებითად, შემდგომი 4 წლის ვადით არჩეულ იქნა ინეზა ელისაშვილი.

კონფერენციას უძღვებოდა ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, ზვიად გოგუაძე.

დღეს გთავაზობთ კონფერენციაზე ქალბატონ ინეზა ელისაშვილის წარდგენილ ანგარიშს ორგანიზაციის გაწეული მუშაობის შესახებ

ყრილობის დელეგატებო, მოწვეულო სტუმრებო, მოგესამებით და გისურვებთ მშვიდობას, პირად და ოჯახის წევრების ჯანმრთელობას, გამძლეობას და ენერგიას იმ ურთულესი მოვალეობის შესასრულებლად, რაც პედაგოგს, განათლების მუშაკს და პროფკავშირის ლიდერს აკისრია. ჩვენი კონფერენციის სახელით სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინელ განათლების მუშაკებს და მოსწავლეებს, ვუსურვებთ ჩქარა დამკვიდრებულიყოს მშვიდობა უკარაინასა და მთელ მსოფლიოში. აქვე მსურს

გაცნობოთ, რომ ორი წლის განმავლობაში, პანდემიის გამო, განათლების სისტემასა და, ზოგადად, ქვეყანას რთულ სიტუაციაში უხდებოდა არსებობა. საანგარიშო პერიოდში არაერთი კოლოეგა შეეწირა კოვიდ პანდემიას, სამძიმარს უცხადებ პედაგოგიურ კოლექტივებსა და ოჯახს და მსურს წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას.

მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს, რადგან თქვენი თავდაუზოგავი შრომის, ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შედეგია ჩვენი ერთობლივი წარმატება, თქვენი ჩვენდამი დამოკიდებულებით მეძლევა ენერგია, მოტივაცია - ვიყო თითოეული წევრის უარყოფითი თუ დადებითი საკითხების ოპერატიულად შემსწავლელი და პრობლემის გადასაჭრელად ორიენტირებული.

ჩვენი მიზანია განათლების თანამედროვე მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება. სპმთპ თანმიმდევრულად ზრუნავს პედაგოგთა პროფესიული განვითარებისა და სოციალ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად, ძალა ერთობაშია და ერთად „შენ და მე" ვართ უკვე „ჩვენ" და ჩვენ, პედაგოგებმა, თქვენმა დამცველმა ერთგულმა ორგანიზაციამ, განათლების სტრუქტურულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, დავამტკიცეთ, რომ სიახლეები არ გვაშინებს და ყველა სიძნელე დაძლევადია.

პედაგოგთა ინტერესების დამცველის, მისია ნებისმიერ ქვეყანაში, საპატიოა და, ამავე დროს, რთული, მეტადრე ჩვენნაირ ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში ვიმყოფებით.

ჩვენ ერთად ვეძებთ გზას, რომელიც ყველაზე მეტად მიგვაახლოებს მთავარ მიზანს, რომ მომავალი თაობის, პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდების აღზრდის საქმეს ემსახურებოდეს განათლებული, პროფესიულად დაოსტატებული მასწავლებლობა.

სპმთპ-ს ორგანიზაცია, ქალბატონ მაია კობახიძის ხელმძღვანელობით იმართება მხოლოდ მაღალი პროფესიონალიზმით,ადამიანის ღირსების პატივისცემით,კანონით მინიწებული უფლებების სრულად გამოყენებით, გაბედულ და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

მე-8 საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციიდან 4 წელი გავიდა, დრო, რომელმაც სრულად შეცვალა მსოფლიოს დღის წესრიგი. დღეს, მსურს, ჩემს ამომრჩევლებს მოწვეულ სტუმრებს ჩავაბარო ანგარიში ჩვენი რაიონული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

ხაშურის რაიონში 32 საჯარო სკოლა და 18 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ფუნქციონირებს. 31 საჯარო სკოლაში, საბიბლიოთეკო გაერთიანებასა და 18-ვე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ფუნქციონირებს სპმთპ-ის პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია 1450 წევრით.

პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარეებს ფასდაუდებელი შრომა მიუძღვით ორგანიზაციის მუშაობასა და მდგრადობის საქმეში, რაც მაძლევს მოტივაციას, ცემი მოვალეობის უფრო მეტი პასუხისმგებლობით შესასრულებლად. დიდი მადლობა თითოეულ თქვენგანს და ბოდიში თუ თქვენი ღვაწლი, ჯერ-ჯერობით, სათანადოდ არ არის ჩემგან დაფასებული. ხშირად ვახალისებთ რიგით წევრებს, პედაგოგებს და ტექნიკურ პერსონალს და თითქოს გვერდს გივლით, ვეცდები, საანგარიშო პერიოდში შევცვალო ეს დამოკიდებულება.

სახელმწიფოს პოლიტიკური ცვლილებების და რყევების განვითარების ყველა ეტაპზე, პროფკავშირი აგრძელებდა ფუნქციონირებას. საკმაოდ დიდი შრომა და ბრძოლა დაგვჭირდა მძიმე მემკვიდრეობის თუ პოლიტიკური წნეხისგან გასათავისუფლებლად, რომ ჩამოგვეყალიბებინა დასავლური ღირებულებების ორგანიზაცია.

ორგანიზაციის წევრებთან შეხვედრისას და საბჭოს სხდომებზე ვაანალიზებთ რას მივახწიეთ,რა იგეგმება,როგორ დავიცვათ თითოეული წევრის შრომითი,სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული უფლებები.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი საქმიანობას ორი მიმართულებით წარმართავს:

- ✓ დასაქმებულთა შრომითი, სოციალ-ეკონომიკური, სამართლებრივი და პროფესიული უფლებების დაცვა;
- ✓ ზრუნვა წევრთა პროფესიული განვითარებისთვის.

ჭეშმარიტებაა, რომ დასაქმებულთა შრომითი უფლებების დაცვის გარანტია უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობა და კანონქვემდებარე აქტები. სპმთპ წლების განმავლობაში აწარმოებდა მუშაობას საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისათვის. იყო უამრავი პრობლემა, მათ შორის ხელისუფლების მხრიდან უგულებელყოფა ჩვენი ორგანიზაციის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის პროცესში მონაწილეობის თაობაზე. მიუხედავად ამისა, ვახერხებდით ინიციატივების წარდგენას, 2012 წლის ნოემბრიდან აღდგა თანამშრომლობა განათლების სამინისტროსა და ჩვენს ორგანიზაციას შორის და, სოციალური დიალოგის შედეგად, არაერთი წარმატებული შედეგი მივიღეთ, რამაც გაუმჯობესა მასწავლებელთა პირობები. სპმთპ-ს 10 წელზე მეტი დასჭირდა, განათლების სამინისტროსთან დარგობრივი შეთანხმების გასაფორმებლად. 2017 წლის 16 მარტს, სპმთპ-სა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის დამარეგულირებელი, ძირითადი დოკუმენტი - დარგობრივი შეთანხმება, რომელსაც საერთაშორისო წარმომადგენლობამ ისტორიული შეთანხმება უწოდა. დღეს, არცერთი ცვლილება არ ხორციელდება ჩვენი ორგანიზაციის ჩართულობის გარეშე. ანალოგიური მდგომარეობაა სკოლამდელი დაწესებულების მიმართულებით. 2015 წელს ამოქმედებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონით პროფკავშირი აღიარებულია სოციალურ პარტნიორად.

- ✓ 2013 წლის ივნისში, პედაგოგთა ანაზღაურებადი შვებულების ვადა არანაკლებ 24 სამუშაო დღე, შეიცვალა არანაკლებ 40 სამუშაო დღით („ საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ" განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959);
- ✓ 2013 წლის სექტემბერში, განისასზღვრა სასერთიპიკაციო დანამატების გაანგარიშება პედაგოგთა საათობრივი დატვირთვის პროპორციულად. 2010 წლიდან ამ ცვლილებამდე, საჯარო სკოლის სერთიფიცირებული პედაგოგები, ნაწილობრივი დატვირთვის შემთხვევაში, ვერ იღებდნენ სერთიფიცირების დანამატს. („საჯარო სკოლის მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ" განათლების და მეცნიერების მინისტრის 576 ბრძანება;) 18 საათზე მეტი დათვირთვის შემთხვევაში, ყოველი მომდევნო საათი ანაზღაურდება საბაზო ხელფასსზე დანამატის სახით.
- ✓ 2014 წელს, პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმა მოითხოვა საჯარო სკოლის პედაგოგთა საბაზო ხელფასის ეტაპობრივი ზრდა, იმ გათვლებით, რომ იგი გაუთანაბრდეს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასს. ორგანიზაციის მოთხოვნა ნაწილობრივ შესრულდა და 2015-2016 წელს საბაზო ხელფასი გაიზარდა 33%-ით.
- ✓ სპმთპ-ს ღონისძიებებით, 2016 წლის 16 დეკემბერსა და 2017 წლის 19 მარტს, ცვლილებები შევიდა „ზოგადი განათლების შესახებ" მინისტრის ბრძანებაში,კერძოდ, გაუქმებულ იქნა სკოლის გარე ტერიტორიაზე, არასამუშაო საათებში ჩადენილი ქმედებისთვის, პედაგოგისთვის დისციპლინური სასჯელის დაკისრება. ამასთანავე, შემცირდა დისციპლინური წარმოების დაწყების 3წლიანი ვადა 1 წლამდე.
- ✓ სპმთპ-ის მოთხოვნის საფუძველზე, 2016 წლის დეკემბრიდან, 2000 წლის ჩათვლით, მიღებული 4 წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე პირებს შრომის ანაზღაურება ეძლევათ მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისად.
- ✓ 2014-2015 წ.წ. ორგანიზაცია აქტიურად ჩაერთო „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" კანონპროექტის საპარლამენტო კომიტეტებში განხილვის პროცესში და სპმთპ-ს ინიციატივიტ კანონპროექტს დაემატა ნორმა „მუნიციპალიტეტი ვალდებულია სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების სავალდებულო პირობები დაამტკიცოს პროფესიულ კავშირთან კონსულტაციით". თუმცა, ეს გადაწყვეტილება ყოველთვის არ სრულდება და გვერდს უვლიან პედაგოგთა პროფესიული კავშირის ჩართვას საქმიანობაში;
- ✓ 2017 წელს, „ადრეულ და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნდა დაწყებულიყო საბავშვო ბაგა-ბაღების ავტორიზაციის პროცესი. სკოლამდელი დაწესებულებების რეორგანიზაციის საფუძვლით, სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულს ხელი მოაწერინეს მოსალოდნელი გათავისუფლების თაობაზე. სპმთპ-ის აქტიური ჩართულობით, უკანონო გათავისუფლებების პროცესი შეჩერდა და მოიხსნა დღის წესრიგიდან საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებების ლიკვიდაციის საკითხი, რომელიც აქტიურად განიხილებოდა. ჩვენ მხარი დაუჭირეთ საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებების ფუნქციონირებას.
- ✓ სპმთპ-ის ინიციატივითა და ძალისხმევით, 2017 წლის ივნისიდან, საჯარო სკოლის მასწავლებლებს საავადმყოფო ფურცელი უნაზღაურდებათ სრული ხელფასიდან დანამატების ჩათვლით. 7წლის განმავლობაში პედაგოგები ანაზღაურებას იღებდნენ მხოლოდ დანამატების გარეშე თანამდებობრივი სარგოდან.
- ✓ 2017 წლის იანვარში, ჩვენი აქტიური ჩართულობით, მიღებული იქნა გადაწყვეტილება,პრაქტიკოსი მასწავლებლებისათვის საგნობრივი და პროფესიული

(გაგრძელება III გვერდზე)

კონპეტენციების ნაწილობრივ დადასტურების თაობაზე 1,4 და 7 კრედიტით 10-ის ნაცვლად.

✓ 2019 წელს, განათლების მინისტრის ინიციატივით და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, საპენსიო ასაკის მასწავლებლებს, პროფესიიდან გასვლის სურვილის შემთხვევაში, გადაეცათ სახელმწიფო ჯილდო ორი წლის ხელფასის ანაზღაურებით. მთავრობამ გაიზიარა ჩვენი მოთხოვნა პროფესიიდან გასული მასწავლებლებისათვის მასწავლებლების დაზღვევის სიცოცხლის ბოლომდე შესანარჩუნებლად. ჩვენი რაიონის სკოლების ხელმძღვანელობამ და პედაგოგიურმა კოლექტივებმა ღირსების დაცვით და პატივისცემით, გაისტუმრეს დამსახურებულ პენსიაზე პედაგოგები. მოვიკითხავ თითოეულ მათგან პატივისცემით და ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებ.

2020 წლის ბოლოს უნდა დამთავრებულიყო პრაქტიკოსი მასწავლებლის კარიერული წინსვლის აქტივობები, პროფკავშირის ჩარევის შემდეგ კომპეტენციის ვადა გაუხანგრძლივდათ აპრილამდე. სპმთპ-ს აქტიური ჩართულობით პრაქტიკოსი მასწავლებლების ნაწილი სკოლებმა შეინარჩუნეს დროებითი ხელშეკრულებით.

✓ 2020 წლის ივნისში, ჩვენი მოთხოვნის შედეგად, შეიცვალა არსებული წესი „დირექტორი უფლებამოსილია მაღალი სტატუსის მქონე მასწავლებელთან/სპეციალურ მასწავლებელთან გააფორმოს შედარებით დაბალი სტატუსის მქონე ხელსეკრულება'' ეს ნორმა შეიცვალა და ბრძანებაში ჩაიწერა შემდეგი რედაქტირებით „სპეციალურ მასწავლებელთან შესაძლებელია გაფორმდეს დაბალი სტატუსის მასწავლებლის ხელშეკრულება, დირექტორის წერილობითი დასაბუთების და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე''.

2013-2014 წლებში სპმთპ-მ წარმატებით დაასრულა 26 გათავისუფლებული პედაგოგის და საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელის სასამართლო პროცესი. ისინი აღდგენილ იქნენ სამსახურსი განაცდურის ანაზღაურებით. მათ შორის, საანგარიშო წლებში, ხაშურის რაიონის ერთი საბავშვო ბაღის ერთი დირექტორი და 3 აღმზრდელი პედაგოგი აღდგენილ იქნა სამსახურში და მათ გამგეობის ბიუჯეტიდან მიეცათ ანაზღაურება.

შრომის კოდექსში პროფკავშირის ჩართულობით განხორციელდა ცვლილებები მასწავლებელთა შრომითი ხელშეკრულების ვადებთან დაკავშირებით და ის გახდა უვადო.

გარდა უფლებების დაცვისა ორგანიზაცია აქტიურ მუშაობას ახორციელებს პროფესიული განვითარების მიმართულებით. კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგ-სემინარები მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში, წევრთა საჭიროებების და მოთხოვნების მიხედვით, საანგარიშო პერიოდში, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე გადამზადდა.

5 000 პედაგოგი წელს გრძელვადიანი ტრენინგები ჩატარდა ყველა საგნის პედაგოგისთვის და ამჟამად მიმდინარეობს პროფესიული უნარების ტრენინგი 280 მასწავლებლისთვის, რა თქმა უნდა, ანაზღაურების გარეშე (აღსანიშნავია რომ კერძო მომზადებელთან 600 ლარი ღირს ერთი ტრენინგის მოსმენა).

ამერიკის მასწავლებელთა ფერდერაციის მხარდაჭერით, განხორციელდა საერთაშორისო პროექტი „მოქალაქეთა ხმები-დემოკრატიული მეხსიერების საერთაშორისო ბანკი'', ჩვენი რაიონის ხუთმა მასწავლებელმა გაიარა არსებული ტრენინგი.

ორ ეტაპად განხორციელდა დანიის უმაღლესი საფეხურის მასწავლებელთა პროფკავშირის პროექტი „სკოლისა და განათლების პოლიტიკის ადვოკატირების შესაძლებლობების განვითარება საქართველოში,პროფკავშირთან თანამშრომლობით''. დანიელი ექსპერტ-მასწავლებლების მიერ ჩატარებულ ტრენინგებს ესწრებოდნენ ჩვენს მიერ წარგზავნილი პედაგოგებიც ხაშურის მე-2, მე-6 და სურამის მე-2 საჯარო სკოლიდან.

განათლების სისტემის გამოცდილების გაზიარების მიზნით, სურამის მე-2 საჯარო სკოლის პედაგოგი ჯაბა ლაბაძე ერთი კვირით გაგზავნილ იქნა დანიაში, მან პრეზენტაცია ჩაატარა ჩვენი რაიონის საჯარო სკოლის დირექტორებთან, პედაგოგებთან და პროფლიდერებთან. ის,დღესაც, საქართველოს მაშტაბით, ყველა რაიონის საჯარო სკოლის პედაგოგებს უზიარებს გამოცდილებას. მიმდინარე წლის 7 მაისს, ხაშურში, ჩატარდა შიდა ქართლის მასწავლებელთა ფორუმი, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღეს სპმთპ-ის პრეზიდენტმა მაია კობახიძემ, ვიცეპრეზიდეტებმა - მარი ალუღიშვილომა და ნათია კორძაძემ. პრეზენტაცია დანიის მასწავლებელთა საქმიანობის შესახებ წარმოადგინა მენტორმა პედაგოგმა ჯაბა ლაბაძემ. ფორუმს ჩვენი რაიონის საჯარო სკოლების 65 პედაგოგი ესწრებოდა.

საჯარო სკოლის პედაგოგთა გადამზადების კვალდაკვალ, ყურადღების გარეშე არ რჩება სკოლამდელი აღზრდის სისტემაში დასაქმებულთა პროფესიული დაოსტატებისთვის ზრუნვა. საანგარიშო პერიოდში გადამზადდა 18-ვე საბავშვო ბაღის დირექტორი,მუსიკის მასწავლებლები,აღმზრდელები,მათი თანაშემწეები და ტექნიკური პერსონალი. პროფესიული ზრდის შეჩერება არ შეიძლება,ის მუდმივი პროცესია და ამიტომ მუდმივად გრძელდება მათზე ზრუნვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კოვიდპანდემიის დროს ზრუნვა წევრების პროფესიულ ზრდაზე. ონლაინ რეჟიმში ტარდებოდა გრძელვადიანი ტრენინგები. პროფესიული განვითარების მიმართულებით სახელმწიფო გეგმავს სხვადასხვა, რეფორმის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების შემუშავებას, რისთვისაც მიმდინარეობს მზადება,რათა გამოირიცხოს ყველა ის ნაკლოვანება, რაც იყო წინა რეფორმებში. ეს კი თქვენთან თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია. „ახალი სკოლის'' მოდელის მოთხოვნების შესწავლის მიზნით. 2021 წლის აპრილში ჩატარდა შეხვედრები საგნობრივი დისციპლინების მიხედვით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი რაიონის პედაგოგებმაც.

საამაყოა, რომ ჩვენი რაიონის მასწავლებლებიდან რიცხობრივად ყველაზე უფრო მენტორი მასწავლებელია,ვიდრე სხვა რაიონში. ისიც აღსანიშნავია,რომ ტრენერები ყოველთვის აღნიშნავენ,ჩვენი რაიონის პედაგოგების განათლებისა და მომზადების მაღალ დონეს. ორგანიზაციის მიერ ყოველწლიურად, 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის დღეს, ტარდება ღონისძიება თემაზე „ადამიანის უფლებათა დაცვა,კონსტიტუციური რეფორმა და სამართლის უზენაესობა,ხელისუფლებასთან ჩვენი პრობლემების მიტანა და მოგვარება მხოლოდ პროფკავშირს შეუძლია''.

ორგანიზაცია ზრუნავს წევრების და მათი ოჯახების ჯანმრთელობასა და დასვენებაზე. სპმთპ-ის ხაშურის ორგანიზაციას თანამშომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული ჯანმრთელობის და სილამაზის ცენტრებთან. სამედიცინო ცენტრ „სიცოცხლე'', ქართულ შვეიცარიული თვალის კლინიკასთან, ხდება გასვლითი შემოწმებები, საარჩევნო პერიოდში თვალის კლინიკის ექიმები იმყოფებოდნენ ალის,ბრილის,ვაყის,ნაბახტევის,საბავშვო ბაღების,საჯარო სკოლების მოსწავლეების და თანამშრომლების ადგილზე დიაგნოსტიკური მომსახურებისთვის. სტომატოლოგებთან, სტილისტებთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე წევრები იღებენ 30% შეღავათიან მომსახურებას. რთული, დამღლელი შრომის შემდეგ, იმისთვის, რომ შვებულების დღეები შინაარსიანად და მშვიდად გაატარონ, შესაძლებლობა აქვთ დაისვენონ ოჯახის წევრებთან ერთად ზღვისა და მთის კურორტებზე, დაგეგმონ ჩვენი კუთხის შემსწავლელი ექსკურსიები ორგანიზაციის დაფინანსებით.

ხაშურის რაიონული ორგანიზაცია განუხრელად ზრუნავს წევრთა ჯანმრთელობაზე, საანგარიშო პერიოდში ერჯერადი სამედიცინო დახმარება გაეწია 400-ზე მეტ წევრს, პირველადი ორგანიზაციიდან შემოსული არცერთი განცხადება არ რჩება რეაგირების გარეშე, ხშირია შემთხვევა, როდესაც დაავადების სირთულიდან გამომდინარე ესაჭიროებათ სოლიდური თანხით დაფინანსება, ამ დროს ვთანამშრომლობთ სპმთპ-ს ცენტრალურ აპარატთან და მუნიციპალიტეტის შესაბამის განყოფილებასთან სადაც, ჩვენს წინადადებას ყოველთვის გულისხმიერებით პასუხობენ. მადლობას ვუხდით მათ თანამშრომლობისთვის.

ორგანიზაცია თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ქალთა ასოციაციის, რაიონის განათლების რესურსცენტრთან და სარაიონო ბიბლიოთეკის გაერთიანებასთან ერთად ტარდება საქველმოქმედო, ბუნების დაცვის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები და დისკუსიები მაღალი საფეხურის მოსწავლეებთან - „ნაადრევი ქორწინების პრობლემები'', „უარი ალკოჰოლსა და ნარკოტიკს''. ხშირად ეწყობა საჯარო სკოლების და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგებთან ერთად კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. საანგარიშო პერიოდში, ყოველ წელს, მაშტაბური შემადგენლობით აღინიშნება მასწავლებლის დღე. შეძლებისდაგვარად ჯილდოვდებიან წარმატებული პედაგოგები. პროფესიული დღე ჩატარდა ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმში და მშენებარე ბანას ტერიტორიაზე. პედაგოგებისა და მოსწავლეების ფართო ჩართულობით განხორციელდა პროექტი „ჯანსაღი გარემოსთვის''. დაინერგა გარემოს დასუფთავების თანამედროვე სტრატეგიები სურამის და ხაშურის გარემოს დაცვითი ღონისძიებები,სუფთა კლიმატის გამაჯანსაღებელი მნიშვნელობის მიმართ ცნობიერების ამაღლება. საერთაშორისო სერთიფიკატი დაიმსახურა მე-7 საჯარო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგმა ანა ტაბატაძემ „ხეების დარგვის და ზრუნვის აქტივობებში მსოფლიოს მშვიდობისთვის'',ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებში აქტიურად არიან ჩართულნი საჯარო სკოლების და საბავშვო ბაღების თანამშრომლები და მოსწავლეები.

რა თქმა უნდა, ეს არ არის ორგანიზაციის მიერ გატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი, რადგან ძნელია ერთ მოხსენებაში სრულყოფილად განიხილო რაც კეთდება ყოველდღიურ რეჟიმში. დროულად ხდება შემოსულ განცხადებებზე რეაგირება და ვცდილობთ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის კანონის უზენაესობამდე არ მივიდეს საქმე და ურთიერთთანამშრომლობით მოგვარდეს.

გაწეული შრომის მიუხედავად, გადასაჭრელი და მოსაგვარებელი საკითხი ჯერ კიდევ ბევრია. სკოლამდელ დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის ხელფასი განსაკუთრებით მისახედია. ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ჩვენი ორგანიზაციის მიმართვის შემდეგ, ჩვენი წინადადება გაიზიარა და ორჯერ გაიზარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულთა ხელფასი. პირველ ეტაპზე 10%-ით ხოლო შემდეგ 20%-ით. მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წელს, აღმზრდელებს დაემატათ 100 ლარი, ხოლო დანარჩენ პერსონალს 10%-ით გაეზარდა ხელფასი. ეს, რა თქმა უნდა კარგია, მისასალმებელია, მაგრამ სრულად ვერ ასახავს მათი შრომის სირთულეს. რაიონის დღევანდელი ხელმძღვანელობა განსაკუთრებით ზრუნავს განათლების სისტემაში დასაქმებულ ადამიანებზე, რაიონის წინსვლასა და დემიკრატიულ ფორმირებაზე და იმედს ვიტოვებთ,კიდევ უფრო უკეთესად შედგება ჩვენი თანამშრომლობა.

განსჯასაც ვერ უძლებს საჯარო სკოლების ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის დაბალი ანაზღაურება. სისტემატიურად შემოდის განცხადებები ორგანიზაციაში. სპმთპ-ის პრეზიდენტთან აქტიურად განვიხილავთ ამ საკითხს რომელიც არაერთხელ დადგა დღის წესრიგში.

გასულ წლებში ცენტრიდან სოფლებში მომუშავე პედაგოგების ტრანსპორტით სარგებლობის თანხას ვარეგულირებდით. ბოლო წლების განმავლობაში მხოლოდ მაღალმთიანი სტატუსის მქონე მასწავლებლები სარგებლობენ შეღავათებით,ხოლო დანარჩენი სოფლის საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღებში დასაქმებულნი იხდიან მთლიან ღირებულებას. ჩვენი და მიხეილ ჯიბუტის თანამშრომლობის შედეგად, საკითხი მოგვარებული იყო, მაგრამ საწვავის გაძვირების შემდეგ, მძღოლები შეთანხმებაზე ვერღარ დავითანხმეთ. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს რაიონს უკვე კარგა ხანია საზოგადო მუნიციპალური ტრანსპორტი არ ემსახურება და მძღოლები თვითნებურად აწესებენ ფასებს.

პროფკავშირი ეს არის ჩვენი, თქვენი სახლი რომლის შენებაც ყველას ერთად გვევალება, ნებისმიერი საქმე სიყვარულით, ურთიერთპატივისცემით, ურთიერთთანადგომით და ნდობით კეთდება. რაც მიუღწეველი ჩანს ცალკე, შესაძლებელი ხდება ერთად!

პროფკავშირი არის თითოეული თქვენგანის სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი დაცვის ერთადერთი მექანიზმი რომელსაც ხელისუფლება ანგარიშს უწევს და ითვალისწინებს თქვენთვის საჭირო ინიციატივებს.

ჩვენ ყველ ერთად, ქალბატონ მაია კობახიძის ხელმძღვანელობით, ფერფლიდან ავაღორძინეთ ორგანიზაცია.

მინდა ვიყო კიდევ უფრო აქტიური,უფრო მეტად ჩართული თქვენს ყოველდრიურ საქმიანობაში. მოგვაწოდეთ თქვენი შენიშვნები და წინადადებები, როგორ ვსრულყოთ განათლების სისტემა, სად და როგორ გესაჭიროებათ ორგანიზაციის თანადგომა.

მადლობა სკოლამდელი აღზრდის დირექტორებსა და თანამშრომლებს, საჯარო სკოლის დირექტორებს და ყველა დასაქმებულს, რესურსცენტრის ხელმძღვანელს, საბავშვო ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელს,რაიონის ხელმძღვანელობას,ყველა პედაგოგს, საზოგადოების წევრებს, ჩვენი რაიონის საუკეთესო ინტელიგენციას, თითოეულ თქვენგანს იმ თანადგომის, დიდი პასუხილმგებლობის გამოჩენისთვის, იმ საიმედოობისა და ერთგულებისთვის, რასაც თითოეული თქვენგანი იჩენს ორგანიზაციისა და პირადად ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის. მე შემიძლია თამამად ვთქვა: თქვენთან ერთად და სპმთპ-ს პრეზიდენტთან ქალბატონ მაია კობახიძესთან ერთად სრულიად ახალი, თანამედროვე ღირებულებების მატარებელი მრავალრიცხოვანი პროფკავშირი შეიქმნა ხაშურის რაიონში. ეს თქვენი დამსახურებაა. კიდევ ერთხელ გმადლობთ თანამშრომლობისთვის!

ღირსება, პედაგოგიური პრესტიჟი, თითოეულ ჩვენგანზე მის მენტალიტეტსა და მსოფლმხედველობაზე, შრომასა და პიროვნულ თვისებებზეა დამოკიდებული. თანამშრო9მლობით, ერთად დგომით,სოლიდარობით შევძელით ჩვენი რაიონული ორგანიზაციის მდგრადობა. ბედნიერ არდადეგებსა და წარმატებულ ახალ სასწავლო წელს გისურვებთ, თითოეულ თქვენს ოჯახში იყოს მშვიდობა, ჯანმრთელობა, სიუხვე და ბარაქა.

ინეზა (ზიზი) ელისაშვილი,
სპმთპ-ის ხაშურის რაიონული
ორგანიზაციის თავმჯდომარე

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20, 21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23)

დადგენილება ავალებდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს გადაჭრით ბოლო მოეღოთ პარტიიდან მასობრივი, ხელაღებით გარიცხვებისათვის და ნამდვილად დაეწესებინათ ინდივიდუალური, დიფერენცირებული მიდგომა პარტიიდან გარიცხვის ან პარტიის წევრთა უფლებებში გარიცულთა აღდგენის საკითხების გადაჭრისას.

ადგილებზე ცენტრალურ კომიტეტებს მიეცათ მითითება მოეხსნათ პარტიული თანამდებობიდან და პარტიულ პასუხისმგებლობაში მიეცემოდა ყველა ის პარტიული ხელმძღვანელი, რომლებიც არ ასრულებდნენ საკ. კპ (ბ) ცკ-ის დირექტივებს, პარტიიდან რიცხავდნენ პარტიის წევრებს და კანდიდატებს ისე, რომ გულმოდგინეთ არ ამოწმებდნენ მთელ მასალას და უშვებდნენ თვითნებობას პარტიის წევრთა მიმართ.

სამი თვის ვადაში უნდა მომხდარიყო პარტიიდან ყველა გარიცხულის აპელაციის განხილვა.

პარტიულ ორგანიზაციებს ევალებოდათ პარტიულ პასუხისმგებლობაში მიეცათ ის პირები, რომლებიც დამნაშავენი იყვნენ პარტიის წევრებისათვის ცილისწამებაში, უნდა მოეხდინათ პარტიის ასეთ წევრთა რეაბილიტაცია.

გაზეთმა „პრავდამ“ წამოაყენა ლოზუნგი: „რეაბილიტაცია ვუყოთ არასწორად გარიცხულთ, მკაცრად დავსაჯოთ ცილისმწამებელნი“

თებერვლის დასაწყისიდან რაიონში დაიწყეს ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესწავლის კამპანია.

„მაღალი პოლიტიკური აქტიობით ჩატარებულ კრებებზე,- წერდა გაზეთი „ბოლშევიკური სიტყვა“ 12 თებერვალს მოწინავე „უნაკლოდ განვახორციელოთ“,- რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები ერთსულოვნად აცხადებენ, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ეს დადგენილება წარმოადგენს ხალხის შენიღბული მტრების, კარიერისტ-კომუნისტების და ცილისმწამებლების წინააღმდეგ ბრძოლის ბასრ იარაღს, რომლებიც ქარაფშუტულად ეკიდებოდნენ პარტიის წევრთა ბედიღბალს, ცდილობდნენ თავი გამოეჩინათ და დაწინაურებულიყვნენ პარტიიდან გარიცხვებით..

ცკ-ის დადგენილებაში მოყვანილი ფაქტების ანალოგიურ მაგალითებზე მოგვითხრობს რაიონში განვითარებულ მოვლენებზე. კერძოდ, აღნიშნულია: „ბოლშევიკური პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებაში მოყვანილი მაგალითების ანალოგიურ ფაქტებს ადგილი ჰქონდა ჩვენი რაიონის პირველად პარტორგანიზაციებშიც. პარტკომის ყოფილი მდივნები, ხალხის მტრები, მრავლად რიცხავდნენ ბოლშევიკური პარტიის რიგებიდან უდანაშაულო კომუნისტებს. ხალხის მტრებმა პირველადი პარტორგანიზაციის დადგენილების უქონლად, შემოწმების გარეშე, პარტიიდან გარიცხეს 15-მდე კომუნისტი. გომის სპირტის ქარხნის დამკვრელი მუშა იოსებ ცხოვრებაშვილი გარიცხეს პარტიიდან, იმის გამო, რომ უყვარდა რა კრიტიკა, ამხილა სპირტის ქარხნის ყოფილი დირქეტორის უმსგავსო მოქმედებანი.

აგარის მტს-ის პარტორგანიზაციამ პარტიიდან უსაფუძვლოდ გარიცხა ნიკოლოზ ნოზაძე. ბრალი დასდო მას იმაში, რომ იყო რა მტს- შოფერი, მანქანით დაჰყავდა მტს-ის ყოფილი დირქტორი ხალხის მტერი და მასთან ჰქონდა კავშირი. ცილისმწამებლებმა ნოზაძის წინააღმდეგ სანამ მისი საკითხი პარტრაიკომის ბიუროზე განიხილებოდა, დამატებით დასწერეს ცილისმწამებლური ცნობები, ვითომ იგი მავნებელი იყო, რაიკომის ძველმა „ხელმძღვანელობამ“ შემოწმების გარეშე პარტიიდან გარიცხა ნოზაძე.

რაიონის კომკავშირის პირველად ორგანიზაციებშიც ხალხის მტერი, რაიკომის მდივნის ყოფილი მოადგილე პირველადი ორგანიზაციების და რაიკომის ბიუროს დადგენილების გარეშე სწყვეტდა კომკავშირელის ბედ-იღბლის საკითხს. მან კომკავშირული ბილეთი ხელიდან გამოგლიჯა აქტიურ კომკავშირელ ვ. ჩიქოვანს, დღესაც არავინ იცის ჩიქოვანი რატომ არის დარჩენილი კომკავშირის გარეშე.“

გაზეთი მოუწოდებდა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, გამოემჟღავნებინათ ცილისმწამებელი კარიერისტი-კომუნისტები და სათანადო პასუხი გაეცათ მათთვის „მიუხედავად იმისა, რომ რაიონში დიდი მუშაობა მიმდინარეობს საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისთვის, პირდაპირ შეიძლება, განვაცხადოთ, რომ რაიონის არცერთ პირველად პარტორგანიზაციას არ გამოუმჟღავნებია კარიერის-კომუნისტები და ცილისმწამებელნი... ამჟამად, ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ პარტკომკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების შესწავლას და უნაკლოდ განხორციელებას, რომ სასწარფოდ ლიკვიდაცია ვუყოთ დაშვებულ შეცდომებს. რევოლუციური სიფხიზლის ამაღლებით უნდა გამოვამჟღავნოთ პარტიისა და ხალხის მტრები, კარიერისტ-კომუნისტები და ცილისმწამებლები“.

კომუნისტური პარტიის რაიონული კომიტეტის მსგავსად, 27 მარტს, საქ. ლ კ ხაშურის რაიონულმა აქტივმაც განიხილა რაიკომის მდივნის ალ. ზურაბაშვილის მოხსენება საქ. ლ კ ცკ-ის მე-5 პლენუმის დადგენილებას - „კომკავშირული ორგანიზაციების მიერ კომკავშირელთა გარიცხვის დროს დაშვებულ შეცდომებზე, საკავშირო ალკკ-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე“ - შესახებ.

მომხსენებელმა მოიტანა „მრავალი ფაქტი იმისა, თუ ხალხის მტრები როგორ უსულგულოდ ეკიდებოდნენ კომკავშირელთა ბედ-იღბალს“.

კამათში გამოსულები ახლა მონდომებით ამხელდნენ ახალ „ხალხის მტრებს“, რომლებიც გუშინ, თავის მხრივ, წარმატებით ამხელდნენ ასევე „ხალხის მტრებს“ და მათი დასმენით ირიცხებოდნენ კომკავშირის რიგებიდან ახალგაზრდები.

კრებაზე გაირკვა, რომ რაიაღმასკომის კომკავშირის პირველადი ორგანიზაცია თავის რიგებიდან კომკავშირლებს უსაფუძვლოდ რიცხავდა. კომკავშირელ ვ. ღარიბაშვილს ცილი დასწამეს კოლმეურნეობაში მავნებლობაზე. კომიტეტის ყოფილი მდივანი ვ. ადამია უჯერებდა ცილისმწამებლებს და არ ამოწმებდა ფაქტებს. უკანასკნელ პერიოდში ამ ორგანიზაციიდან გარიცხული კომკავშირის 15 წევრი იქნა აღდგენილი.

კრებაზე გაირკვა აგრეთვე, რომ კომკავშირის რაიკომიც უშვებდა უხეშ შეცდომებს. ფრანგიშვილი კომკავშირიდან გარიცხული იქნა ფარული ტროცკისტობის გამო. სათანადო ორგანოებმა კი მის მიმართ ვერავითარი ბრალდება მოიძიეს. ხალხის მტრებმა, ანტიპარტიული ლაყბობის ბრალდებით, მ. თათუნაშვილი გაარიცხვინეს კომკავშირიდან და მოახსნევინეს სამუშაოდან. შემდეგ გაირკვა, რომ ეს ბრლდებები მ. თათუნაშვილს ცილისმწამებელმა მ. მესხმა შეუთხზა.

ქალაქსა და რაიონში ფართოდ გაჩაღდა ცილისმწამებლების მხილება. „კიდევ უფრო ავამაღლოთ რევოლუციური სიფხიზლე, გამოვავლინოთ ხალხის მტრები, კარიერისტები, თავკერძა კომუნისტები. მოვაცილოთ სამარცხვინო ლაქა ცილდაწამებულებს“ - მოუწოდებდა ადგილობრივი გაზეთი.

ხალხის მტრები, - აღნიშნავდა გაზეთი, – გაქნილი კარიერისტები, როგორც ცენტრელური კომიტეტი თავის დადგენილებაში აღნიშნავს, ცილისწამებისთვის იყენებდნენ გაზეთებს. როგორც ვიცით, გასულ წელს, გაზეთ „ბოლშევიკურ სიტყვა“-ს რედაქტორობდა ხალხის საზიზღარი მტერი ი. ბეშიძე. ხალხის ამ მტერმა გაზეთის ფურცლებზე გაამათრახა და ხალხის მტრების ნაბოლარად გამოაცხადა კომკავშირიდან გარიცხული ა.ი. კუჭაიძე. გამორკვევით დადასტურდა, რომ ა.ი. კუჭაიძეს არავითარი კავშირი არ ჰქონდა ხალხის მტრებთან. პირიქით, იგი დაუზოგავად ამხელდა ყველა მათგანს, ვინც მავნებლობას ეწეოდა. კუჭაიძეს არასდროს მიუღია კომკავშირული სასჯელი. იგი ყოველთვის აქტიური მუშაკი იყო“.

კომკავშირის რაიკომის ბიურომ ა. კუჭაიძე აღადგინა კომკავშირის რიგებში.

პარტიის წევრებმა, არ. ქალიაშვილმა და შ. ხაჩიძემ რაიაღმასკომთან არსებულ პირველად პარტორგანიზაციის წევრ კ. ხვედელიძეს ცილი დასწამეს, ვითომ მან 1919 წელს მენშევიკურ არმიაში გასცა კომუნისტები. პირველადმა ორგანიზაციამ ცილდაწამებული კ. ხვედელიძე გარიცხა პარტიის რიგებიდან. რაიკომის ბიუროს სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა კ. ხვედელიძის მიმართ წაყენებული ბრალდებები, რომლებიც არ დადასტურდა. კ. ხვედელიძე აღადგინეს პარტიაში.

„ყალბი სიფხიზლის მსხვერპლი“ აღმოჩნდა კონსტანტინე სხირტლაძე. „...ხალხის მტრის აგენტთან მუშაობდი, 60 მანეთი ყალბი საბუთი შეადგინე, მავნებლობას ეწეოდი, ამიტომ პარტიული ბილეთი უნდა დასტოვო, - განუცხადა რაიკომის ყოფილმა მდივანმა, ხალხის მტერმა ბეღელაძემ გომის პარტორგანიზაციის აქტიურ წევრს კონსტანტინე სხილაძეს. მას კრინტიც არ დააძვრევინეს და ხელიდან პარტიული ბილეთი წაართვეს. ხალხის მტრებმა სხირტლაძის საკითხის განხილვის უფლებაც არ მისცეს იმ პარტიულ ორგანიზაციას, რომელშიც იგი მუშაობდა“.

კ. სხირტლაძე სამსახურიდანაც მოხსნეს. იგი რამდენჯერმე მივიდა რაიკომში, ითხოვა, გამოერკვიათ მისი საქმე, მაგრამ რევოლუცური სიფხიზლის სპეკულიანტებმა ყურადღება არ მიაქციეს მის კანონიერ საჩივარს.

მხოლოდ 1938 წელს გახდა შესაძლებელი კ. სხირტლაძის პარტიულ რიგებში აღდგენა.

პარტიული კრებები აქტიურად იხილავდნენ „ცილდაწამებულთა“ საკითხებს რკინიგზის კვანძის პარტიულ ორგანიზაციებში, სადაც 24 იანვრიდან დაიწყეს პარტიის ცკ-ის დადგენილების შესწავლა და ცხოვრებაში განხორციელება. კრებებმა აქაც „აშკარად ნათელჰყვეს ის შეცდომები, რომლებიც დაშვებული იყო რკინიგზის ხაშურის პარტორგანიზაციაში ზოგიერთი კომუნისტის გარიცხვის დროს“.

საორთქლმავლო დეპოს პარტორგანიზაციიდან „ხალხის მტრის – პარტკომის ყოფილი მდივნის მიერ გარიცხული იქნა სტახანოველი მემანქანე, ორგანიზაციის აქტიური წევრი დიმიტრი კაპანაძე. გარიცხვის მოტივად მოტანილი იყო მისი ბიძაშვილის ტროცკისტობა.

ხალხის მტრების დავალებით, კაპანაძის დაცვისათვის, პარტიის რიგებიდან გარიცხეს მემანქანე კოლია მეყანწიშვილი“.

რკინიგზის მცველთა ორგანიზაციიდან პოლიტიკური მოუმზადებლობის ბრალდებით, ყოველგვარი შემოწმების გარეშე პარტიიდან გარიცხეს ვ.ბაღლობაშვილი.

რკინიგზის კვანძის პარტიული ორგანიზაციების მიერ რაიონული კომიტეტის წინაშე დაისვა საკითხი ზემოთ აღნიშნული ამხანაგებისა და იმ ამხანაგების პარტიაში აღდგენაზე, რომლებიც უდანაშაულოდ უყვნენ გარიცხულნი პარტიის რიგებიდან.

15 აპრილს, რაიაღმასკომის პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, აღინიშნა, რომ აღმასკომის „კომკავშირის პირველადი ორგანიზაციიდან უმართებლოდ რიცხავდნენ აქტიურ კომკავშირლებს. 26 წევრიდან გარიცხული იქნა 14, რომლებიც აღდგენილი იქნენ“.

კრებაზე აღინიშნა ისიც, რომ „ბოლშევიკური სიფხიზლე რაიაღმასკომის პარტორგანიზაციაში ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე. ბევრს უდანაშაულოდ და ცილისმწამებელთა ბრალდებებით რიცხავდნენ პარტიიდან. პარტიიდან უდანაშაულოდ გარიცხულნი: შ. დარჯანია, მ. ლომსაძე, ნ. კაბერაშვილი და სხვები, საკ. კპ (ბ) ცკ-ის იანვრის პლენუმის დადგენილების შემდეგ, აღდგენილ იქნენ პარტიის რიგებში. ამ ორგანიზაციაში თავდაზღვეულობასაც ფართედ ჰქონდა ფეხი მოდგმული. კარიერისტი სვერიან ბრეგვაძე ბევრს უყენებდა უსაფუძვლო ბრალდებებს, მას საამისოდ სიაც კი ჰქონდა ჩამოწერილი, ვინც კი აწყენინებდა, ყველას მავნებლს ეძახდა და სამუშაოდან თანამშრომლებს უდანაშაულოდ ხსნიდა“

კრებაზე, იმის მაგალითად, თუ როგორ შეუმოწმებლად რიცხავდნენ პარტიის რიგებიდან წევრებს, დასახელებული იყო რაიაღმასკომის პარტკომის მდივნის პ. მეტრეველის ირგვლივ განვითარებული მოვლენები. 1937 წელი მასზე „ვიღაცამ უსაფუძვლო სიგნალები შეიტანა რაიკომში და მყისვე ყოველგარი გამორკვევის გარეშე დასვეს საკითხი პარტკომის გადარჩევის შესახებ, სასწრაფოდ მოიწვიეს კრება და გააკეთებინეს გ. მეტრეველს საანგარიშო მოხსენება. გატარებული მუშაობა იყო დამაკმაყოფილებელი, მაგრამ რადგან მეტრეველის პარტკომის მდივნობიდან მოხსნა წინასწარ გადაწყვეტილიყო, მუშაობა სუსტად ჩაუთვალეს და არამარტო პარტიის რიგებიდან გარიცხეს, არამედ თანამდებობიდანაც გადააყენეს.”

ასეთი არაერთი ფაქტის დასახელება შეიძლება, ახლა იმ ხალხს რიცხავდნენ პარტიისა და კომკავშირის რიგებიდან, ვისი დასმენებითაც გუშინ იყვნენ რეპრესირებულნი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, თუ უბრალოდ მოქალაქეები.

ახლაც მკაცრად გმობდნენ იმ პირებს, ვისაც მოდუნებული ჰქონდა რევოლუციური სიფხიზლე. 1938 წლის 15 აპრილს, საქ. კპ ხაშურის რაიკომთან არსებულ პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგრიშო კრებაზე, კამათში გამოსული კომუნისტები „კრიტიკისა და თვითკრიტიკის გზით ამხელდნენ პარტორგანიზაციის მუშაობაში არსებულ დეფექტებს“ და მიუთითებდნენ ზოგიერთი კომუნისტის რევოლუციური სიფხიზლის მოდუნების ფაქტზე. კრებაზე „გაკრიტიკებული იქნა ამხ. დ. ნასყიდაშვილი, რომელმაც გააჭიანურა შემოსული სიგნალების გამორკვევა ხალხის მტრის კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ“.

1938 წლის 23 მაისს, საქ კპ (ბ) ხაშურის რაიონის ორგანიზაციის მე-17 კონფერენციაზე, რაიკომის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ირ. ღუდუშაური აღნიშნავდა: „რაიონში მოკალათებულმა, ამჟამად გამომჟღავნებულმა ხალხის მტრებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს რაიონის მეურნეობას, პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს ხალხის მტრებისგან თავიანთი რიგების გასაწმენდად“. მანვე „მკაცრად გააკრიტიკა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, კერძოდ მან ილაპარაკა პარტიიდან კომუნისტების არასწორად და ხელაღებით გარიცხვის შესახებ, რაც საკ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების შემდეგ გამოსწორებული იქნა პარტიის რაიონული კომიტეტი კიდევ აწარმოებს მუშაობას, იმისათვის, რომ პარტიიდან კომუნისტების გარიცხვის დროს დაშვებული შეცდომები გამოასწოროს“.

“დაშვებული შეცდომების” გამოსწორებას ორი ათეული წელი მოუნდა.

1938 წლის 2 მარტს სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დაიწყო “მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის” საქმის მოსმენა.

ადგილობრივ გაზეთში, 3 მარტს, გამოქვეყნდა საკდესის ცნობა “მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის” შესახებ. იმავე დღიდან გაზთის ფურცლებზე გაჩნდა ლოზუნგი: „სიკვდილი „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის” მონაწილეებს“, „გავანადგუროთ ხალხის მტრები, სამშობლოთი მოვაჭრენი“, „გავანადგუროთ სამშობლოს მოღალატენი“.

„ასეთია ჩვენი რაიონის მშრომელთა ერთსულოვანი მოთხოვნა,“ - აღნიშნავდა გაზეთი და მის ფურცლებზე ნიაღვარივით წამოვიდა სხვადასხვა ორგანიზაციების, მუშა-მოსამსახურეების და მშრომელი გლეხების მოთხოვნები. იმართებოდა სახელდახელო მიტინგები, რომლის მონაწილენიც მოითხოვდნენ საკადრისი პასუხი მიეზღოთ მტრებისათვის.

1 მარტს გაიმართა ლ. ბერიას სახელობის ხაშურის რკინიგზის ელდეპოს მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგი, რომლის მონაწილეებიც მოითხოვდნენ დამნაშავეთა დასჯას, ამავე დროს პირობას იძლეოდნენ, რომ კიდევ უფრო აამაღლებდნენ რევოლუციურ სიფხიზლეს და გადაჭარბებით შეასრულებდნენ საწარმოო დავალებებს. „ფაშიზმის პირსისხლიანმა აგენტებმა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მონაწილეებმა ჩვენი ქვეყნის წინაშე უსაზიზღრესი დანაშაული ჩაიდინეს. ისინი ჰყიდნენ საბჭოთა კავშირს, ხოცავდნენ ღირსეულ ადამიანებს. მათ მოკლეს ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანები: კიროვი, კუიბიშევი, მენჟინსკი, გორკი და სხვა. მშრომელი ხალხის მტრები უნდა მოისპონ, პროლეტარული სასამართლო, რომელიც ამჟამად ასამართლებს მათ, ღირსეულ სასჯელს მიუზღავს.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ბიზნესი -

ახალი სუპერმარკეტი ხაშურში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი კომპანია „GEO 2008"-ის ახალი სუპერმარკეტის გახსნას დაესწრნენ. გახსნის ცერემონიაში მონაწილეებმა, რომელთა შორისაც იყვნენ მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები, სასულიერო პირები, პირველი სიმბოლური შენაძენებიც გააკეთეს. „მისასალმებელია,რომ „GEO 2008" ადგილობრივ დონეზე ერთ-ერთი უდიდესი ინვესტორია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის გაფართოება ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას,რაც საბოლოო ჯამში მოქალაქეთა კეთილდღეობაზე აისახება", - აღინიშნა გახსნისას მუნიციპალიტეტის მერმა. კომპანიის წარმომადგენლების ტარიელ ხარატიშვილისა და მამუკა დევდარიანის განცხადებით, სუპერმარკეტი სხვადასხვა შემოსავლის მქონე სეგმენტზეა

გათვლილი, რაც ყველა მომხმარებელს საშუალებას აძლევს მისთვის სასურველი პროდუქცია შეიძინოს.

სურამში, 9 აპრილის ქუჩაზე, მინისტადიონის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 100 000 ლარზე მეტს შეადგენს.

"ჩვენთვის პრიორიტეტია მუნიციპალიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და ხელშეწყობა,შესაბამისად სპორტული მოედნების მოწყობას დიდ ყურადღებას ვუთმობთ. სულ ახლახან დავასრულეთ სოფელ ცხრამუხაში მინი სტადიონის მშენებლობა. სტადიონების მოწყობა მიმდინარეობს სოფელ ქემფერში, ბიჯნისში, უახლოეს პერიოდში იწყება ხაშურში, ფარნავაზის ქუჩაზე მდებარე მინისტადიონის რეაბილიტაცია. პატარებისა და მოზარდების მხრიდან,ასეთი სივრცეების მიმართ დიდი ინტერესია, ამიტომ მუნიციპალიტეტში მინისტადიონების მშენებლობა-რეაბილიტაცია ინტენსიურად მიმდინარეობს და მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება"-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობა რომ გაღრმავდეს...

„მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის" წარმომადგენლებმა კოტე კანდელაკმა და დავით ლოსაბერიძემ პროექტის - „ანგარიშვალდებული საკრებულოს წევრი ძლიერი დემოკრატიისთვის" ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართეს.

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი,საკრებულოს წევრები: მარინე დიდებულიძე,თათია ბროლიძე, ირინე გელაშვილი, ეკატერინე პაპუაშვილი და აპარატის სპეციალისტები.

პროექტის მიზანს წარმოადგენს სამიზნე მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება, ამომრჩევლის და მის არჩეულ საკრებულოს წევრს შორის ეფექტური, ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხების დანერგვა და კარგი პრაქტიკის დამკვიდრება.

პროექტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების GIZ-ის მხარდაჭერით ხორციელდება.

სოფელ ცოცხნარამდე მისასვლელი გზა სრულად იქნება რეაბილიტირებული

ამ ეტაპზე გზის მოხრეშვისა და მოსწორების სამუშაოები ხორციელდება. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ასფალტის საფარის დაგება, მილ-ხიდებისა და სანიაღვრეების მოწყობა. გარდა ამისა, დაიდგმება და დაიხაზება საგზაო ნიშნები. სამუშაოები ითვალისწინებს სოფელ ცოცხნარამდე და ქემფერამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაციას, აღნიშნული პროექტი გარდამავალია,ამიტომ ცოცხნარამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის შემდეგ, განხორციელდება ქემფერამდე მისასვლელი გზის მოწყობა.

სამუშაოები ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 4 599 999 ლარს შეადგენს.

სოფელ ცოცხნარაში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიმდინარეობას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი სიმონ გულედანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი,მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ლომიძე გაეცნენ.

სოფელ ცოცხნარამდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობა პირველად ხორციელდება, სამუშაოების დასრულების შემდეგ კი მოსახლეობა კომფორტული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

ინტელექტუალური თამაში „ბიგ რაუნდი“ დასრულდა

მორიგი სეზონის ფინალური შეხვედრა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ ხაშურის მესამე და მეშვიდე, სურამის მესამე და ოსიაურის საჯარო სკოლები, ქობულეთში ჩატარდა.კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის

მერიის განათლების,კულტურისა და სპორტის სამსახურის და ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, უკომპრომისო ბრძოლის შედეგად, გამოავლინა გამარჯვებული - ხაშურის მე-7 საჯარო სკოლის გუნდი. მეორე ადგილზე ოსიაურის საჯარო სკოლის გუნდი გავიდა, მესამე ადგილი კი ხაშურის მესამე საჯარო სკოლის გუნდს ერგო. სპეციალური ტიტულით „სეზონის აღმოჩენა“ დაჯილდოვდა სურამის მესამე საჯარო სკოლის გუნდი.

„ბიგ რაუნდი“ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და მერიის განათლების,კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით ყოველ სასწავლო წელს ტარდება და მასში მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეთა გუნდები მონაწილეობენ.

ზეიმი წრომის საბავშვო ბაღში

სასწავლო წლის ბოლო და ზაფხულის ბუნიობა წრომის №16 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა მხიარული აქტივობით აღნიშნეს. დირექტორმა

მანანა გოდელაშვილმა, აღმზრდელ-მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთად, დაუვიწყარი დღე აჩუქეს პატარებს. გაიმართა სპორტული შეჯიბრებები, რომლებშიც მშობლებმა და მოწვეულმა სტუმრებმაც მიიღეს მონაწილეობა, გამარჯვებულებს კი ჟიური ავლენდა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ა (ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი ლელა გელაშვილი და მეთოდისტი ნანი ლაბაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, პირველი მოადგილე ლევან გამრეკელი,მოადგილეები: ნოდარ ლომიძე,ცოტნე ნოზაძე,წევრი მარინე დიდებულიძე და ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი ხატია ლომიძე, მერის წარმომადგენლები წრომისა და ხცისის ადმინისტრაციულ ერთეულებში გურამ ბერაძე და ზურაბ დაბრუნდაშვილი. ასევე, მოწვეულები იყვნენ ხცისის საჯარო სკოლის დირექტორი ლელა ქვრივიშვილი და წრომის საჯაროს სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი ლალი სარალიძე. წელს წრომის ბაღიდან სკოლის კარებს 16 ბავშვი შეაღებს. აღსანიშნავია, რომ წრომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, რომელმაც სტარტი ალტერნატიული ბაღიდან აიღო, დღესდღეობით ერთ-ერთი თვალსაჩინოა ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში.

დღევანდელი აქტივობა სამახსოვრო ალბომებისა და ჯილდოების გადაცემით დასრულდა.

- ძალიან მინდა გთხოვოთ, რომ ასეთი თვალხატულა შვილები ბევრი აჩუქოთ საქართველოს. დაე, ასეთი ბაღები მრავალი იყოს საქართველოში. მადლობას გიხდით თითოეულ თქვენგანს. ვიცი, რომ ძალიან ლამაზ შვილებს გაუზრდით სამშობლოს, - აღნიშნა ზეიმის ბოლოს საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა.

ჯილდო - პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლისთის

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია პროექტ „ახალგაზრდა მოხალისეების ჩართულობა კოვიდ-19 პანდემიის საპასუხოდ საქართველოში“ განხორციელებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდა.

პროექტი ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, საქართველოს მასშტაბით, ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდის/Halping Hand”-ის მიერ განხორციელდა.

პროექტის მიზანს კოვიდ პანდემიის პრევენცია,მოზარდებში უსაფრთხო ჰიგიენის და ინფექციის შესახებ საჭირო ინფორმაციის გავრცელება, ასევე, მოზარდებისა და ახალგაზრდების შესაბამისი ცოდნით აღჭურვა წარმოადგენდა.

პროექტის ფარგლებში, 150 ახალგაზრდა თანასწორ-განმანათლებელი მოხალისე საქართველოს 63 მუნიციპალიტეტიდან გაეცნო ინფორმაციას ისეთ ინსტრუმენტების და საშუალებების შესახებ, როგორიც არის მოხალისეობა, თანასწორთა დახმარება და განათლება.

პროექტი ჯილდოების და სერთიფიკატების გადაცემის ცერემონიალით დასრულდა. ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სერტიფიკატები გადაეცათ ლესია უკრაინკას სახელობის სურამის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლეებს ბარბარე ცხადაძეს და გიორგი კონჯარიას.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.